


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რადგოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дროба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50კ., 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.



გამოდის ყოველ-ღვინო მარშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-  
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. უკანასკნელი გვერ-  
დისა ითვლება მათგან დაჭრილითა და გვერდ-  
ლობაზედ.

თუ საქართველოში მოსახლე რედაქცია გააჩნდეს და შეიძოს  
ღვინო დასაბუჯად გამოაგზავნოს წერილებს. დაუბეჭდვალ წერი-  
ლებს რედაქცია ვერ დაუბეჭდვს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

### მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთის „დროებაზე“

იკლდისის ჰიბრედიდამ წლის დამლეკამდე

#### ფასი ხუთი მანათი

საფლდის მასწავლებელთათვის

#### ათხი მანათი

ვისაც დღემდე არ შეძლებდა მუარე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სახლავს  
დასაქმრან ფუდის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ იგლისის 1-დამ გაზე-  
თა მოესპოთ.

### გლადსტონი

### მისი გარეშე პოლიტიკა

თბილისი, ივნისის 15-ს.

სამოც-და-თექვსმეტის წლის მოხუ-  
ცი ზლადსტონი გადადგა და ინგლი-  
სის გამგეობა ვადასცა თუ ხანგრძლი-  
ვად არა, დროებით მანაც, შედარებით  
უფრო ახალ-გაზდას ორმოც-და თხუთ-  
მეტის წლის მარკის სალისბიურის.

### უბრალო ამბავი

არქუდა.

„Es ist eine alte Geschichte.  
Doch bleibt sie immer neu.“  
Heine.

(გაგრძელება \*)

«იმ საღამოს, როცა ეს უბედური  
შემთხვევა მოხდა, სალომე და ლუკა  
მეზობლისას წაიღდნ და ლამეც იქვე  
ვაათიეს. მეორე დღეს, იმ დროს,  
როცა მზეს ჯერ თავი არ ამოეო,  
მახლობელ მთების წვეროებიდამ, სა-  
ლომე ადგა ჩიტებთან ერთად, აჩქა-  
რებით ტანთ-ჩაიკვა და თავის განად-  
გურებულს სახლისკენ გასწია.

«საბრალო სალომე! რა რიგად გა-  
მოცვლილიყო ერთს ღამეში! კაცი  
ველარ იცნობდა: თვალები ჩასცივი-  
ნოდენ, მათ გარშემო ლურჯი ზოლი  
შემორტყმოდა, სახე გაუთირებოდა,  
სისხლის წვეთიც არ ეტყობოდა მის  
ლოყებს, რომელიც წინად მანისის  
ვარდასავეთ ყვავოდენ... სახეზე საში-  
ნელი მწუხარებისა და ტანჯვის კვა-  
ლი დასწნოდა... სალომე დაღონე-  
ბული მივიდა თავის ეზოსთან, შევი-  
და შიგ და თვალ-ცრემლიანმა დაუწ-  
ყო ცქერა დამწვარს სახლს, იმ სახლს,  
რომელშიაც გაეტარებინა თვისი უყ-

არა ვგანებთ, რომ რომელიმე სამინის-  
ტროს ცვლილებას როდისმე ისეთი  
შთაბეჭდილება მოეხდინოს მთელს  
ქვეყნიერებაზედ, როგორც ამ უკანასკ-  
ნელმა ცვლილებამ მოახდინა. მიზე-  
ზი ყველასათვის ცხადია: თუმცა ზლად-  
სტონი მთელს ინგლისში პირველ კა-  
ცად ითვლება, მაგრამ მან ვერ შესძ-  
ლო ისე წაყვანა ამ ქვეყნის გარეშე  
პოლიტიკისა, რომ თავის ხალხის სია-  
მაყ დაეკმაყოფილებინა და მისთვის  
მოკავშირენი ეშოვა. შთაფრესი სა-  
ჭიროება ინგლისისათვის კი მართლაც

თესი დღენი ქმრის სიცოცხლეში...  
მოაგონდა ის დრო, როდესაც სა-  
ლი და ლამაზი ქალი იყო... მოაგონ-  
და ქმრის უსაზღვრო სიყვარული,  
მისი ერთგულება და პატიოსნური ხა-  
სიათი... ძველის, ბედნიერის ცხოვ-  
რების სურათები ნათლად უდგებო-  
დენ მას თვალ-წინ: აი, საღამო ხა-  
ნია... ივანე შრომით დაქანცული და  
ოფელში გაწურული თოხით მხარზე  
შემოდის სახლში; სალომე ცეცხლის  
პირას ზის და ვახშამს უმზადებს ქმარს;  
მუხლებზე პატარა ლუკას ძუძუს აწო-  
ვებს... მამა დაიხრება და აკოცებს  
თავის ბაღლს... შემდეგ შეჩერდება  
და თავის ქეთილის, ტრფობით საცხე  
თვალებით დაუწყებს მზერას ახალ-  
გაზდა დედას... ოლო-ქმარი თვლი-  
თვალს ერთმანეთს გაუყრიან, ორთა-  
ვე ერთსა-და-იმამე გრძობას გაუტაც-  
ნია... მკ, რა ბედნიერი იყო მაშინ  
სალომე! მის ბედს ძაღლიც არ დაჰ-  
ყვდნ!.. ახლა, ახლა-კი... აქ ვეღარ  
მოითმინა საბრალო ქვრივმა... ღი-  
ხანს ძალად შეჩერებული ცრემლო-  
გუბე გადმოსკდა... სტიროდა ცხა-  
რედ, გულ-ამომჯდარი; ცრემლე-  
ბი ზედი-ზედ შეუწყვეტლად მოგო-  
რავდენ მის განაცრებულს ლოყებ-  
ზე... თავის შემავრების ღონე აღარ  
იყო...

«სოტა რომ მოიკლა ტირილით  
წუხილი და დამშვიდდა, სალომე  
ნალიაზედ აედა, გამოიტანა კალ-

ის არის, რომ ყველა მერობის სა-  
ხემწიფოებთან კეთილ-განწყობილად  
იყოს და ამით შესძლოს თავის დაუ-  
ცხრომელს მტერს და მუდმივს მეტო-  
ქეს აზიის ქვეყნებში წინააღმდეგობა  
გაუწიოს, ინდოეთი ხელ-მეუხებლად  
დაიცვას და თავის გაგლეწა მთელს  
დელა-მიწის ზურგზედ უფრო და უფ-  
რო გააძლიეროს.

მაგრამ ზლადსტონმა ეს ვერ შესძ-  
ლო. ხუთის წლის წინად, ვიდრე იგი  
მინისტრად განდებოდა, პირველმა იმან  
ამოიღო ხმა აესტრიის წინააღმდეგ,  
როდესაც ეს უკანასკნელი ბოხნი-  
ჭერცოგოვინაში ფეხს იდგამდა და წარ-  
მოსთქვა თავის შესანიშნავი «Hands  
off!» (ხელი იქით!). ეს პირველი ნა-  
ბიჯი იყო მერობის დიდ სახემწი-  
ფოთა მომდურებისა და მას მეორე  
და მესამეც მალე თან მიჰყვა. ხვანტქ-  
რის გული ზლადსტონს არც კვლავა  
ჰქონია მოგებული, ვერც ეხლა მოი-  
გებდა, რადგან მსმალეთის ქვეყერ-  
დომ ქრისტიან ხალხთა ბედკრულ  
სვეზედ განუწყვეტელის მკვერმეტყვე-  
ლებითა ჰქადაგებდა, თუმცა მეორეს  
მხრით ცივილიზატორებს უძახდა სხვებს,  
რომელთ ქვეყერდომნი თუ უარესს

თით სიმინდი და შინაურ ფრინვე-  
ლებს დაუყარა; შემდეგ დამწყვედეუ-  
ლი საქონელი გამოუშვა და გაბრუნ-  
და მეზობლისას. აქ ისევ გული აუ-  
დულდა მას, როცა შეადარა თვისი  
დაღუპული ოჯახი ამ სიცოცხლით  
საცხე სახლ-კარს: აქ ყველას, —დი-  
საც და პატარასაც კმაყოფილება ეტ-  
ყობოდა სახეზედ; სასიამოვნოდ გაჩა-  
ლებულს კერას შემოსხდომოდა მთე-  
ლი სახლობა და საუზმეს შეექცეო-  
და. ლუკაც აქ იჯდა და მადიანად  
იტენიდა პირს საქმლით; სალომეც  
მიიწვიეს, მაგრამ მან უარი სთქვა.

— პარგი ერთი, შე დალოცვილო!  
თავის მოკვლა ხომ არ გინდა?—მიუ-  
ბრუნდა მასპინძელი. მის არ შემთხვევია  
უბედურება! ჰირს უნდა გაძლება,  
თორემ ღბინს ყველა გაუძლებს. აბა,  
ერთი სტაქანი ღვინო დალიე მა-  
ინც, —ღონეზე მოდა და შემდეგ...  
ღმერთია მოწყალე, ნუ გეშინიან!

— ღმერთი მოწყალეა, დაილოცა  
მისი განგება! მაგრამ მე კი დაე-  
საწყდდი და... ჩაფიქრებით, თითქოს  
თავისთვის წაიბუტბუტა სალომემ.

— «მაყო, რა დაგემართა! მართს  
ქონს მე თვითონ აგიშენებ, თუ გინ-  
და დღესვე მივადგები და სამს დღეზე  
დავასრულებ; სანამ შეილი წამოიზ-  
დებოდეს, ეს გეყოფა; მერმე თვითონ  
სახლსაც გამოკინავს. ხომ, ლუკა?—  
დაეკითხა მასპინძელი ყმაწვილს, რო-  
მელსაც ამ მოულოდნელი კითხვის

არა, უეთესს მდგომარეობაში არ  
არიან, ვიდრე ქვეყერდომნი მსმა-  
ლეთისა

ბერმანიასთან კოლონიების შესახებ  
და საფრანგეთთან შესახებ მეგობრისა  
გამართული დავიღარაბა ჯერ მკი-  
თხველებს დავიწყებული არ ექნებოთ,  
და თუ ყოველ მამს ერთად მოვეყრით  
თავს, თამამად შეგვიძლიან ესთქვათ,  
რომ ზლადსტონის კაბინეტს არა  
ჰქონდა გული მოგებული თითქმის  
არც ერთი მერობის დიდი სახემწი-  
ფოისა. სწორედ იმ დროს, როდესაც  
ინგლისს, ზლადსტონის წყალობით  
მთელი მერობა აყავყავებული ჰყავდა,  
ღიად მძიმე და საჭირო საქმე გაუჩნ-  
და შუა-აზიაში. ამ საქმის დასამთავ-  
რებლად და უეცრად ატეხილ დავი-  
დამ ამაყად და მედიდურად გამოსა-  
სვლელად საჭირო იყო არამცთუ ის,  
რომ მერობა მეგობრად ჰყოლოდა  
ინგლისს, არამედ ისიც რომ გაჭირ-  
ების დროს, ერთი ანუ მეორე სახემ-  
წიფო მოკავშირედ მოემხრო და თა-  
ვისი მტერი საერთო მტრად დესახა.  
ეს ვერ შესძლო ზლადსტონმა და ნა-  
ყოფი იმის გარეშე პოლიტიკისა იყო

დროს პირი საქმლით ჰქონდა გამო-  
ტენილი. მან სიტყვის თქმა ვერ მო-  
ახერხა და თანხმობის ნიშნად მხო-  
ლოდ თავი დააქნია.

«ბავიდა ოთხი თუ ხუთი დღე ამ  
საუბრის შემდეგ, და სალომეც გარ-  
დასახლდა ახლად აშენებულს ქონში,  
რომელიც მას მეზობელმა დაპირები-  
სამებრ გაუკეთა (ეს ის ქონია, მე რომ  
ამ ამბის დასაწყისში აგიწერეთ).

\*\*\*

«ისევ დაიწყო დელა-შვილისთვის  
ძველი ცხოვრება: სალომე შრომობ-  
და უწინდელად, თავ-გამომეტებით,  
ლუკა ეხმარებოდა მას ამ უღლის  
წევაში, როგორც კი შეეძლო; ეხლა  
თითქმის უნახევრებდა დედას მძიმე  
ჯაფას.

«როცა ლუკა ცხრა წლის შეიქნა,  
მის ცხოვრებაში ერთი ცვლილება  
მოხდა საქმე იმაშია, რომ ჩვენს სო-  
ფელში თითქმის არ მოიძევა საძოვ-  
არი ადგილები, —სულ ყველგან ყანე-  
ბია და ამის გამო სოფლის საქონე-  
ლი საშინელს გაჭირებულს მდგომა-  
რეობაშია; საქონელი შორს უნდა  
გაიჩეროს, საცა გაშვებული მინდვრე-  
ბია, ან და ყანის კიდებზე უნდა  
აძოვონ, საცა, რასაკვირველია მას  
ყოველთვის თვალ-ყური უნდა ადევ-  
ნონ, რომ ყანებში არ ჩავიდეს. ამ  
უკიდურესმა მდგომა-რეობამ ბოლოს  
როგორც იქნა გამოაფხიზლა სოფე-  
ლი და შემდეგ გარდაწყვეტილებამდე

\*) იხილეთ „დროება“ №124



ინგლისის დამცირება და უკუ-დახვევა ყოველსავე სადავო მუხლში.

მს იყო თავი და თავი მიზეზი ბლად-სტოანის გადაყენებისა და არა სხვა რაიმე შემთხვევითი მიზეზი. თუმცა ახალ სამინისტროს, რომელსაც მო-თავეობენ ხალისბიური, ნორდსკოტი და ჩერჩილი, ცხარე დამცველნი ენერ-გიული გარეშე პოლიტიკისა, ზოგნი დიდ დღეს არ უქაღიან, მაგრამ დაუ-ჯერებელი არის—ბლადსტოანმა ხელ-ახლავ დაიჭიროს ის სამინისტრო ად-გილი რომლიდამაც დიდი და ძველად ამოსამღელი შეურაცხება მიაცენა მის-გან განგებულ ქვეყანას.

### შინაური ქრონიკა

მითი ფრიად სამწუხარო ამბა-ვი ამოვიკითხეთ გუშინდელს «ქავკაზ-ში»:—ყოველად-სამღვდლო ეპისკო-პოსი იმერეთისა ზაბრიელ სთხოვსო თვისს მთავრობას განათავისუფლონ იგი იმერეთის ეპარქიის განმგებლო-ბისაგან და გარდაიყვანონ ერთ-ერთს რუსულს საეპარქიო კათედრაზედ...

ჩვენ გვზარავს დასახელება იმ მი-ზეზებისა, რომელთაც ესეთი გადა-წყვეტილება განაზრახვინეს ღირს-პა-ტივსაცემ ეპისკოპოსს ზაბრიელს. ძა-ლამი არ გვენებდება აქ გადმოვილოთ პირი იმ სისაძაგლით სავსე ხელ-მოუწერელ ბარათებისა, რომელნიც სისაძაგლითვე სავსე პირ-ბადე დაფა

მიიყვანა: სოფელმა უნდა იქირავოს ერთი მწყემსი და მას ჩააბაროს სა-ქონელი; ჯამაგირიც დაუნიშნეს თუ-მანი თვეში. აი, ეს საპატრიო თანამ-დებობა ხედა წილად ჩვენს ლუკას ხუმრობა კი არ არის! თუმანი ლუ-კას თავის დღეშიაც არ ენახა, და ამ მოულოდნელი სიმდიდრის გულის თვის მან იკისრა ეს მძიმე მოვა-ლეობა; მან აღუთქვა დედას, რომ ის ეცდებოდა უთუოდ გაამართლოს სოფ-ლის მფლობელი.

მართლაც, ლუკამ მუყაითად მოჰ-კიდა საქმეს ხელი: გარყვარებულიც არ იყო, თითქმის ჩიტებსაც ეძინათ, რო-ცა ლუკა ადგა სოფლის გარდაწყვე-ტილების მეორეს დღეს, დღიური სურ-სათი თოფრით მხარზე გადიგდო და სოფლელების ძროხები საძოვარზედ გარეკა. საღამომდე იქ იყო, და სა-ღამოს სიმღერით თავის-ბედის კმაყო-ფილი გამოუძღვა თავის ჯოგს და პატრონთ დაუბრუნა. ამ წესით შეუ-ცვლელად, სინიღისიანად ასრულებდა ლუკა თავის მოვალეობას და სოფე-ლიც ემაღლიერებოდა.

\*\*\*

«მე და ლუკა ტოლები ვიყავით, სამის თვით თუ ვჯობდი მას,—და ერთმანეთიც ძლიერ გვიყვარდა. თუმ-ცა მე მქონდა ბედნიერება კეთილ-შო-ბილთაგან დავბადებულვიყავ, და ის კი გლეხთაგან, მაგრამ ეს ჩვენთვის სულ ერთი იყო; წოდებრივი უთანას-წორობა ვერ უღობავდა გზას ჩვენი

რულ, გარკვენილ სულიერო მიუგზავ-ნიათ იმ ყოველ ღირსებით სავსე არ-სებისათვის, რომელიც ამდენი წელი-წაღია ჰყვემსობს იმერეთის ეპარქიას და ამდენი დეაწლი დისდო მას. სავა-ლალოა ეს მოვლენა, მაგრამ რა უნდა გარვიდეს ლიტონის ვალაჰით!

მუთათისილამ გვეწერენ: «ხელო-სანმა ხალხმა იმიტომ აიკრთა გული სახელოსნო გამგებობაზე და იმიტომ ითხოვა მისი დახურვა, რომ ერთის წლის განმავლობაში, რა ხანსაც იგი არსებობდა, ამ საქმის მოთავენი სინი-ღისიერად და პატროსურად ვერ ასრუ-ლებდენ თავიანთ მოვალეობას. თვით-მმართველობა დიად კარგია, მაგრამ მას შეუძლიან სარგებლობის მაგივ-რად, ეწება მოიჭანოს, თუ კი საზო-გადოებაში რიგიანი და სანდო კაცი არ მოიძვევება, რომელსაც შეეძლოს საზოგადოების ნდობის დამსახურე-ბა».

იენისის 1-ს სოფ. მცხეთაში მომხდარა შემდეგი შემადრწუნებელი ამბავი. ამ დღეს გავლილს 3-კის ა—ერს ცემით კინალამ მოუკლავს მცხეთის მამასახლისი და ს—თებს ა—სავე ბაძანებით დაუჯოხნათ ბეგ-რის ურმის პატრონები აი, საქმე როგორ ყოფილა. მცხეთის მა-მასახლისის ჰქონია მიწერილობა, რომ იენისის 1-თვის ემოვნა 60 ურემი ჯ—თვის, ხოლო ა—ერს ებძანები-ნა, რომ ეს სამოცი ურემი უთუოდ დილის ოთხ საათზედ იყვეს მზადა.

გულის მისწრაფებათა... სიყმაწვილემ ამ გვარების გარჩევა როდი იცის... რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრ-დებოდა ჩემში ლუკასადმი სიყვარუ-ლი და პატივისცემა, უფრო-და-უფრო ვაფასებდი მის კეთილ-შობილურს ხა-სიათს, მეორეცხლს კკუას, და ჩივლს მგრძობიერს გულს?

«მისი სწორი, მზისაგან დამწვარი სახის ნაკვებები, შავი, ცოტათი მიბნე-დილი თვალები პირველსავე ნახვაზედ იზიდავდენ კაცის გულს.

«შველა სოფლის პატარა ბიჭებში ლუკა ამოვარჩიე მეგობრად, რადგა-ნაც ის ყველას სჯობდა. ჩვენ თით-ქმის ყოველს დღეს ერთად ვიყავით, და ჩვენს ცელქობას, თამაშს სამზღუ-არი არა ჰქონდა... მიდამო ადგილე-ბი,—მინდორი, ქალა, ტყე, მთა-ბა-რი,—სულ, სულ ყველაფერი დაე-ლილი და გაჩხრეკილი გვექონდა: ჩვენ ვიცნობდით თითქმის ყოველს ქვას, ყოველს ბუჩქს, ყოველს ბილიქს,— და სადაც უნდა გავველო, ყველგან ჩნდებოდა გასართობი რამ ჩვენთვის.

«ასე მიდიოდა ჩვენი ცხოვრება, როცა ანაზღეულად ლუკას მიანდევს მძიმე მოვალეობა. ამ მოულოდნელ-მა შემთხვევამ ცოტა არ იყოს ფერი უცვალა ჩვენს დამოკიდებულებას იმ მზრით, რომ ამის შემდეგ უფრო იმ-ვითად ენახავდით ხოლმე ერთმანეთს; მხოლოდ საღამოობით, როცა ლუკა მორეკდა სოჯლის საქონელს, ჩვენ ერთად შევიყრებოდით და ვთამაზობ-

მოგვხსენებათ, რომ ჯერ არც ჩვენს მამასახლისებს მიუღწევიათ იქამდის, რომ დროს საზომი სჭირდებოდეთ, არც გლეხ-კაცს და ამიტომ საქონე-ლი ძალიან ადრე განთიადისას გა-მოცრეკათ, მაგრამ ა—ერს საქონლის ადრე გამოცრეკაც თავის შეურაცხყო-ფად ჩათვალა და დაეწყო მათრახით ცემა მამასახლისისთვის.

— თქვენ არა გაქვთ ნება მცემოთ? ეტუნებოდა თურმე მამასახლისი.

— «არა მაქვს ნება?» განემეორე-ბინა განრისხებულს ა—ერს და ებძა-ნებინა ს—თებისათვის «დაჰკარითო!»

შედეგი ამ ბაძანებისა სწორედ სა-ზარელი იყო. ამოდენა ს—ები დაჰხვე-ოდენ მეურმეებს და დაეწყოთ ცემა. ისე ეცემათ, მეტადრე მამასახლისისა-თვის და ერთი კიდე სხვისათვის, რომ ზოგ-ზოგ ალაგას ხორცი ამოგლე-ჯილი ჰქონდათ შეშინებულს საქო-ნელს ბლავილი შეექნა, გაფანტული-ყო და კინალამ წყალში გადაცივიუ-ლიყო.

მამასახლისი წავიდა ქ. ლუშეთს სა-ჩივლელად. ქეიმს შეემოწმებინა მისი ნაცემობა და ახლა ენახოთ რითი გა-თავდება საქმე. სირცხვილი იმ პირთა, რომელნიც ურჩევდენ მამასახლისს შერიგებას; მათ კი პასუხი მიიღეს მამასახლისისაგან: «მე ძროხა არა ვარ, რომ ჩემი თავი უფლებზედ გავი-დოო».

იმედია — მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ასეთს შემადრწუნებელ საქ-მეს...

დით, ვთამაზობდით, სანამ ცელქო-ბის წყურვილს არ მოვიკლავდით (მ.ჰ. ბედნიერო სიყმაწვილევ!

\*\*\*

«ბგვისტო ილეოდა. იყო მშვენიე-რი საღამო. ლუკა ჩვეულებისამებრ მოვიდა ჩემთან; მწუხარე, დაღვრე მილის სახით შევეგებე მას.

— «რა ამბავია, რამ მოგაწკინა აგრე?—მკითხა მან შეშინებულის ხმით.

— «იცი, ლუკა... შეღარ დავას რულე სიტყვა; ალღევების გამო ხმა მითრთოდა.

— «სიტყვი, ლმერთი თუ გრწამს, რა დავმართია? მან მაგრად ხელი ხელს ჩამკიდა და თვალებში ცქერა და-მიწყო.

— ჩვენ უნდა მოვმორდეთ ერთმა-ნეთს... ლედ-მამა ამ დღეებში მ-ში მისტუმრებენ .. ბიმნაზია: ი უნდა მი-მაბარონ.

«ლუკამ ჩაჰკიდა თავი, ენა ჩაუფრ-და, სიტყვის თქმაც ვეღარ მოახერ-ხა ..

«ძარგა ხნის სიჩუმის შემდეგ მე მიეუბრუნდი ლუკას:

— «ლუკა, გინდა ჩემთან წამოხვიდე? ერთად ვიცხოვრებთ მ-ში, ა? რას იტყვი?

«ლუკას ცრემლიანი თვალები სი-ხარულისაგან გაუბრწყინდა და მთელს მის სახეს სიამოვნება დაეტყო

— «მ.ჰ. რა კარგი იქნებოდა! — მაშ კარგი. მე ვსთხოვ დედას,

ბუჩილამ გვეწერენ: «მკითხ-ველებს ჯერ კიდევ ეხსოვებათ ბუ-ჩიის სხვა-და-სხვა სრულყოფილად გამო-გზავნილი საჩივრები ამ-გაზეთში და-საბეჭდად ყვავილის შესახებ. «ბატო-ნები» ამა და ამ სოფელში მძინვა-რებენო; იქ ამდენი იმსხვერპლა, აქ მთელი სოფელი სულ ამოქოლიტაო. შველა ამ წერილების ავტორები ერთ-ხმად ამბობდენ, რომ ყვავილი იმის-თვის გაძლიერდაო, რომ დროზედ მის წინააღმდეგ საშუალებანი არ მი-იღესო, და ტყუილადაც არ ამბობდენ; მაგრამ რა გამოვიდა აქედამ? ის ვაჟ-ბატონები, რომელთაც ვალად ადევთ ყვავილის გაძლიერებას ეწინააღმდე-გონ სულ იმის მეცადინეობაში არიან, თუ «ლორებაში» დაბეჭდილი წერილე-ბის ავტორები როგორ აღმოაჩინონ. ქვავილი კი ამ დროს მსხვერპლს მსხვერპლზედ იწირავდა. მაგრამ თავი დავანებოთ ამ ვაჟ-ბატონებს, რამეთუ არა უწყინან რასა იქმონენ. ძიდევ «ბა-ტონებზედ» მოგახსენებთ; ეს სენი ჩვენში ჩვეულებრივ ისევ მძინვარებს. მაგრამ იგი ეხლა შეჩვეულ ქირად მიგვაჩნია და მისგან მომხდარი ზარა-ლი აღრინდელივით აღარავის გვა-ლელვებს ძველს სენს ახალი სენი დავატი, რომელმაც სამი თუ ოთხი იმსხვერპლა აეთში, ერთი ამაღლება-ში და რამდენიმე ზოგოლისუბანში და შარცხმაში და ბევრი ეხლაც ავად არის. აქა-იქ კისრის ტკივილსაც უჩე-ნია თავი. პირველი გლეხებს ტიფად უცენიათ და მეორე კი არ იციან რა არის. იქნება დიფტერიტია, მაგრამ

რომ შენი წაყვანის ნება მომცეს... ჩვენ იქ კარგად გავატარებთ დროს... მერე, რა ქალაქია, რა იცოდე! სულ თურმე მაღალი ქვს სახლებია, — შენს ქოხს-კი არა გვანან... იმდენი მიხვეულ-მოხვეული გზებია, რომ არ იცი საით წახვიდე; მართო ეს რადა ღირს, რომ ღამით იქ თურმე ისე ნათელია, როგორც დღისით,—გზებ-ზე სულ ფარნებია, რომელნიც ვარს-კვლავებივით კაჰკაშებენ .. მართის სიტყვით... ერთის სიტყვით,—მძენ-ნიერებაა თურმე... მე ეხლავ გავიქ-ცევი დედასთან... შენ აქ იკავი,— ყველაფერს შეგატყობინებ.

«საჭირო არ არის იმის აწერა, თუ როგორ დაუწყოქ დედას, დაუყოც-ნე ხელები, პირის-სახე; ბოლოს რო-ცა ყველა ამან არ იმოქმედა, როგორ აეტირდი და გადაჭრით გამოგუცხადე, თუ ლუკა არ გამატანეთ — არაფ-რის სწავლა არ შემიძლია — მეთქ. შფრო მამა ეწინააღმდეგებოდა ჩემს სურვილს, მაგრამ ამ უკანასკნელმა საშუალებამ ბოლოს იმაზედაც იქონია გავლენა და დედ-მამამ როგორც იქნა გადასწყვიტეს, რომ ლუკაც თან წამეყვანა

«ძარგად წარმოიდგენთ ლუკას ალტაცებას, როცა ეს ამბავი ვა-ხარე... ჩვენ მეორეს დღეს გავიმგზავ-რეთ მ-ს-ცენ და თან მამა წაგვყვა.

(გაგრძელება იქნება)



არც მე და არც სოფლებს ამის დამტკიცება არ შეეფიცა, თუ სხვა-ნი არ დაგვემარებინა. თუმცა თვეში ერთხელ მოდის ფერწალი ჩვენს დასახლებულად, მაგრამ საქმეს კი არა-ფერს არ ატეხს: იგი თუშვე იმასთვის მოდის, რომ სოფლის წმინდა ჰაერი ჩაყლაპოს, მერე მივიდეს სოფლის სასამართლოში, აიღოს მოწმობა მამა-სახლისისაგან, რომ იგი ესტუმრა ამა და ამ სოფელს (ეჭვობა პრაგონებზედ ზრუნავს) და გაემგზავროს უკანვე. დე, ყველმა თავისი ჰქნას; სიკვდი-ლით მაინც დავინსნით მისგან თავს, მაგრამ რა ფუჟოთ სენის იმ «ბატონებს», რომელნიც ამისთანა გაქირვე-ბულს დროს დახმარების მაგიერად, უფრო ფებს გვაპერენ?»

ხევიდამ გვწერენ: «ამ უკანასკ-ნელ შეიღის წლის განმავლობაში წარსულის წლისთანა პუჩის მოსაუ-ლი არა ყოფილა. წელს-კი მოსავალ-მა ცუდა პირი დაიჭირა. ხენის გათა-ევბამდის ძლიერ კარგი ამინდები იდგა. მათედა თუ არა ხენა, ის იყო დედა-მიწა ახლად ამოსულის ჯეჯი-ლით მწვანეა შეიშოსა და სწორედ ამ დროს აჩინდა ეიცვალა... ატედა საშინლად და თოვლიც ჩამოყარა; განვლილის მისის უკანასკნელის რიც-ხევიდამ დაწყებული დღემდის ისეც ისე ცივა. სუსხის მიზეზით კაცს ტან-ზედ ტყავი ვერ მოუშორებია. რალა თქმა უნდა, რომ ჯეჯილებიც ძლიერ წაახლნა.»

რაცის კორესპონდენტი გვწერს: «გამოზაფხულისას სულ ეუჩივოდით უწვიმობას, მაგრამ ეხლა ისე დაგვი-ყინა წვიმამ რომ ნამეტანსაც შერება. აგერ თვე გადის, რაც ხან-გამომეგებით კოკის-პარულად ასხამს. ნიადავი საშინ-ლად დააღბო და უანეციც ერთობ დააღბო. მამუდმებულ წვიმიანობას მოჰყვა კარგა გვარინი სიციფე და ეს კიდე უფრო აწებს მოსავალს.»

ბუშინდელს ნომერში ჩვენი გაზეთისა შორაწელი კორესპონდენ-ტი მხარედა, რომ კვირა-უქმე და საქმე დღე სოფლის-კაცისათვის სულ ერთი შეიქნა. ზღები ისე მუშაობს კვირა-უქმეს, როგორც საქმე დღეო. სწორედ ამ საგანზე გუშინდელს «ნო-ვ. მბ.»-შიაც სწერია პატარა შენიშნვა, სადაც ნათქვამია, რომ ღ. შვირილა-ში დღემდის კვირაში ორჯერ იკო-დენ «ბაზრობა» — კვირა-პარასკეობა, თაო, მაგრამ ეხლა პოლიცია წინა-აღუდგა ამას და წირვა-მოუსმენელ სოფლის კაცებს კვირა-უქმე-დღეობით არ უშვებს «ბაზრობა». წირვა-კი საათის 11 და ხან შუადღისას იწყე-ბა ხოლმე და ხშირად სულაც არ არის კვირა-უქმეობითაო.

მართლაც, რა უნდა ჰქნას სოფლის კაცმა ამ შემთხვევაში. არა მარტო შვი-რილაში არამედ სხვაგანაც ბევრგან, და-ბა-სოფლებად ჩვენი მოძღვარნი ისე გვიან იწყობენ ხოლმე წირვას, რომ გლეხი წირვის გამოსვლის შემდეგ თუ ტყუილად, გასასვირებლად წავა «ბაზ-

როს» აღვიოს, თორემ «ბაზრობას» ვერ მიუსწრობს და ვეღარც რასმე აწარმო-ვებს. ბანა მუშა-კაცი კი არა გრძნობს წირვა-ლოცვის საჭიროებას, განა მან-კი არ იცის, რომ ნიშნა და წი-ქარასაც უნდა მოსვენება, — მაგრამ — «გაქირვება მიხეენ და გაქცევის გი-ჩვენებო».

ქაზახის მახრაში მოღარაჯე რაზმს შეტაკება ჰქონია გავარდნილ ავაზაკებთან. შეტაკებაში ორი კა-ცი მოღარაჯეთა მხრით მომკედარა და ორიც ავაზაკთა. არ იციან ჯერაო, აცნობებენ «ძავეაზს» მერიმის დასი-სანი არიან ეს მოკლულნი, თუ სხვა რომელიმე ავაზაკთა ბრბოსიო.

ბათუმში აშენებენო ამ ქამად, როგორც «ძასპიი» გეაცნობებს, ექვს რკინის რეზერვუარს, რომელთაგან ოთხში ას-ასი ათასი ფუთი ნავთი უნდა ჩავიდესო და ორში, რომელსაც ბაქოს ნავთის საზოგადოება მართა-ვსო, — ორმოცდა-ათ-ათი ათასი.

მსევე გაზეთი იწერება, რომ ამა იენისის 10-ს ბაქოდამ ძრასნო-ვოდსკისაკენ გამგზავრებულან ათი მოწაფენი საინჟინერო ინსტიტუტისა იმიერ-ძასპიის მხარეში ახლად გასაყ-ვან გზაზე პრაქტიკულ მუშაობისათ-ვის.

### ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“  
იენისის 14-ს

პეტერბურგი. საგლეხო საადგილ-მამულა ბანკის მმართველი კარტავ-ცოვა დაინიშნა სახელმწიფო სააწესა-რო ბანკის მმართველად.

მოსკოვში შემდგარი მეორე ბატა-ლიანი იმიერ-გასპიის მხრის რკინის გზისა გაკეპზავრა იმიერ-გასპიისაკენ.

„Journal de S-t. Petersbourg“-ი დიდის თანაგრძობით იწერებს გლად-სტოხსზე და იკონუსს, რომ გლად-სტონი ბევრ ინგლისელთა წინააღმდე-გეჭმელებსა რუსეთის მამართ; რაც შეეხება კონსერვატიულს გაბინეთს, მიეხედვება იმისა, რომ ბუგრნა სხ-ლად აჩუქენი მინისტრნი იყვნენ მინისტრებადვე ბეკონსფილდის დრო-საც, მას, გაბინეთს, ეტყობა, ესურს იქონიოს მხედველობაში ესლანდეტი გარემოებანი; გარეშე პოლიტიკის შე-სახებო საღისიური დადგა თვის წინა-მოდგილეს კვალს; გარდა ამას მას კარგად გაზ. იმილი აქვს თვისა მასუ-ხას-გება. გარდა აქვს შეგნებული ეგრძობის საქმეთა ვითარება და უქმ-ველად, დროსა და მოთხოვნილების შესაფერად იმეჭმელებს. რუსეთს ს-კუთარის ინტერესებისა და მშვიდო-ბაანურის პოლიტიკის გამო გულ-დამშვიდებათ შეუძლიან შეხედეს ახა-ლის საძინისტრის დასრუბას

ლონდონი. გარეშე საქმეთა მინი-სტრის თანაშემწედ დაინიშნა ბარ-კა.

სიმლა. ინდოეთის მმართველობაში წინადადება დაადგინა კაშგარში საქლ-ჩოს დასრუბასზე. ამბობენ, — ჩინეთის მმართველობა თანხმა გახდა ამ და-დგინებისათ.

ლონდონი. ზარღამენტის სხდო-მანი ავლისის რ-თვის აქმუნენ გადადე-ბულნი.

ბირჟა

შეტარებულა იენისის 14.

100 მანათის კურსი სამის	თვით ღონდონზე — 24 <sup>5</sup> / <sub>16</sub> 24 <sup>1</sup> / <sub>16</sub> 24 <sup>5</sup> / <sub>16</sub>
100 მანათის კურსი სამის	თვით ჰამბურგზე — 206 <sup>7</sup> / <sub>8</sub> 208 207 <sup>1</sup> / <sub>4</sub>
100 მან. კურსი სამის	თვით პარიზე — 256, 256 <sup>1</sup> / <sub>4</sub> 256
პოლიმპერიალეზი	— 8 მ. 12 პ. გაუ.
ტამოუნის კუპონები	— 8 მ. 14 პ. გაუ.
ვეტლის მანათი	— 1 მ. 29 პ. გაუ.
ბირჟის დისკონტი	— 6 და 6 <sup>1</sup> / <sub>4</sub> %
5% ბილეტები სახემ-წიფო ბანკისა	100 და 1000 მან. პირველი გა-მოცემისა — 99 მ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 97 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— 97 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
მეოთხე გამოც.	— 97 მ. 37 პ. გაუ.
მეხუთე გამოც.	— 97 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
5% აღმოს. სესხ. 100	და 1000 მან. — 95 მ. 12 პ. გაუ.
მეორე გამოც.	— 95 მ. გაუ.
მესამე გამოც.	— 95 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
5% მომგები ბილეტები	I შინაგანის სესხისა — 225 მ. გაუ.
5% მომგები ბილეტები	II შინაგანის სესხისა — 202 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
ოქროს რენტა	— 169 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მა-მულო ბანკის გირავნობ.	ფურცლები — — —
ქუთაისის საადგილ-მამუ-ლო ბანკის გირ. ფურც.	— — —

### „დროების“ ფოსტა

ნ. ახვლედიანს. ვარწმუნებთ მთელს მკითხველ საზოგადოებას, რომ ჩვენ თქვენგან ვარწმუნდენია ამ ორის წლის განმავლობაში არა მოგვესვლია. რაც შეეხება თქვენსედა გავრცელებულს კორესპ., ვუწვავთ მათის გავრცელები-სათვის, მაგრამ კანკეთის ფურცლებს მათს გამტყუნებს ვერ მოვანდობთ.

ს. ნ-ს ბ. ძ-ძეს. გვეუბნება მაც სე-ტანსე წერს.

ზ-ს. ტ-ს ვერაფერი გავიკეთ თქვენის წერილისა.

მ-ს, ადგილობრივ რ-ციას. არა-ღირს დახარკად.

დ. უ-ს თ. ხ-ძეს. ხმა სასადასო-მასწავლებლისა ვერ იბუქდება.

ზ. ჯ-ს. «ექიმი ვრაფულოვო» არ დაიბუქდება.

ცნობის მოყვარეს; ა... კატის; ზ-ს. ზ. გ-ს; ე კ. მისილს; მ. ა — შვილს; ვ. ა ს; ი. რ — შვილს; ზ. ღ — გას; ი. ნ — ქეს; ს. მ — ქეს; დ. გ — წელს; ად. დო — ნაკველს; ნ. ღ — შვილს; ად.

ტ — ქეს; ი. ხ — შვილს; გ. ა — გელს; კ. ნ — შვილს; მ. ღ — ფავას; ე. მ — ქეს.

თქვენი ლექსები და წერილები უნდა ერთი არ დაიბუქდება.

მ. შ — ხოეს. ვერ გენდობით სა-ბუთების წარმოუდგენელად.

ძ. ს — ს. ი. ძ — ძეს. თქვენი ლექსი არ დაიბუქდება.

ს. რ — ს. პ. კ — შ — ინის. სრულე-და ვერ გავიკეთ. რა თქვენის წერილისა.

### ცნობანი

საპადაგოვოს დირექტორი ბ-ნი მარამიშვინი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარ-სებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემო-ღებული არის მცხოვრებითა შეღავათი-სათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ამიშვინი: არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთ-შაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შა-ბათობით.

მელიძე-ვარსადაგოვი, ოთხშაბა-თობით და პარასკეობით.

გაბიშვინი: ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

გაბინოვისა, ორშაბათობით და პარასკეობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლომონოსა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამაშხრალოში, რომელიც თბი-ლისის მოქალაქეთ დასრეს სასსკოვად 4 აპრილის 1866 წლის, ავადმყოფნი მიიღებიან დიდის 8 საათიდან 12 სა-ათამდის.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნა-ლში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გორიგორიანი — 8 საათიდან 9 საათამდის საბუბო, საქალბო და სა-ბავშვო ავადმყოფობის; საწამლებად ბენკლევსკი — 10 — 11 საათამდე — სა-ხირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კიბისა და ყურის ტკივილის საწამლებად; შტემ-ბორსკი 11 — 12 საათამდე სიფილისისა და სხეულსე გამოყრდილი მუწუკების წამ-ლობისათვის. ამას გარდა გარალევირი ორშაბათობით 9 — 10 საათამდე შინა-გან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10 — 11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკეობით 9 — 10 საათამდე ხირურ-გიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11 — 12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებ-ად; ვრსნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკეობით 10 — 11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისა-თვის; ვოლკოსონი კიბის ტკივილის





საწამლეზად მიიღეს თავის სასწაილში უოკელთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ პართი ექმნებათ.

რკინის ზეა

- ფოსტის მატარებელი მილის თბილისიდან ბათუმისაკენ 8 საათზე და 35 წამ. დილით.
- ბათუმიდან თბილისში შემოდის 10 საათ. 25 წამ. ღამით.
- თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე 55 წამზე ღამით.
- ბაქოდამ თბილისში შემოდის 8 საათ. დილით.
- თბილისიდან სურამისაკენ 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.
- სურამიდან თბილისში შემოდის 8 საათზე 24 წამ. დილით.

ვაზადა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თიბათვიდამ 15 თიბათვიდამ 1885 წ.

- გამომცხვარი ჰურა რუსეთის ფუჭილისა — 1 გრ. 5 კ.
- აჭარის ფუჭილისა: პირველის ხარისისა — 1 გ. 2 1/2
- მეორისა — 1 გ. 2 კ.

იმავე ფუჭილისა თორნეში გამომცხვარი:

- პირველი ხარისისა — 1 გ. 4 1/2
- მეორისა — 1 გ. 3 1/2
- მესამისა — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის ჰური:

- პირველის ხარის ღაჯაში 1 გ. 4 1/2
- მეორის ხარის. ღაჯაში 1 გ. 3 1/2
- მესამისა — 1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

- პირველის ხარისისა — 1 გ. 8 კ.
- მეორისა — 1 გ. 7 კ.
- სუკი — 1 გ. 15 კ.
- ცხვრის ხორცი — 1 გ. 9 კ.

ღორის ხორცი:

- პირველის ხარისისა 1 გ.
- მეორისა — 1 — გ.

განცხადებანი

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „ღროების“ რედაქციაში. შასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსანისა, იქნება რვა მანათი-დამ ათ მანათამდე, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და


კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაში ვე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანის“ გამომცემელი

გ. ქაროველიშვილი.

(25—22)

ინგლისური რკინის კარბაზი



კრთის საწოლი 6 მანათიდან, და ორის საწოლი 10 მანათიდან; მათი ლეიბები, ზღვის პალასით გატანილი 4-დგან 8 მანათიდან. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანის მეტალის ნივთები, ჩაიდაები, სვარჯიქი, სპიჭი, ვოკსები, შეფადის დასები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმული პირის საბანი, სტაქები, სუფოგნიკი, საწოლი, რიჟები, საქაშური, თეფები, ბლიუდები, სხალათები, ტაშტები, სარძევეები, სამარილები, გარჩიცის საფუკები, პრობის ამოსადები, პრობები, გლიტები, ვასლები, გრანტები, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მკარტლები, ვაქები, უოკები, წისკილები, ხურსები, ქალები, ინგლისის თოფები და რეკლავრები, პიუები, ხარიადები, ვასიულები, საფანგები, ნინები, ვატერპრუფი, სახები, ჩუქები, წინდები, სუფრები, საღებულები, რგოლები, ებლიანი ტურტლები, მურაბები, გამფეტები, კაშულები, სოუსები, ზღვის პალასი, დიმიკიტონები, ბომასი და სხვ. ინგლისურს მალაზიებში არწრუნისუელს ქარვასლაში № № 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მალაზია თბილისში. (100—22)



Приятного вкуса, полезен детям и взрослым, ОСОБЕННО МАЛОКРОВНЫМЪ, какъ увеличивающій питание. Продается во всѣхъ кондитерскихъ, гастрономическихъ, аптекарскихъ магаз. и аптекахъ. Цена кор. въ 20 плит. 1 р. 20 к. 1/2 кор. 70 к. Перес. кор. 40 к., 2 кор. 60 к. и т. д.

(Ц. 15375.). (50—4)

**ყავა მკვკო**

ს. სიუ და კა.

(Ц. 2592). (46—18)

მ. ჭილაძეების წიგნის მალაზია

ქუთაისში.

ისე იდება: ყოველ-გვარი ქართული და რუსული წიგნები, რომელნიც სახელმძღვანელოდ არიან მიღებულია ექვლას სასწავლებლებში.

წიგნები: საბავშვო, სამეცნიერო, იურიდიული და ბელეტრისტიული.

სამწერლო (კანცელიარული) მოწყობილებანი და სხვა სასწავლო ნივთები: ქაღალდი, კალამი, კარანდაში, რეკლები სხვა და სხვა წერისათვის.

ყოველივე ძლიერ იაფად.

ვისთვის ბ. ბ. შედამხედველთ და მასწავლებელთ ჩვენის მხრის სასწავლებელთა დროით გვაცნობონ—რა და რა სახელმძღვანელონი იქმნებიან საჭირონი მომავალ სასწავლო წლისათვის, რომ დროითვე შეუდგეთ იმ სახელმძღვანელოთა დაბარებას.

(50—2)

ინგლისური მალაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისუელს ქარვასლაში № № 95, 94, 93, (92 სამუსიკო მალაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანა ინგლისური მალაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უყეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. ღასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამუხახვლებმა შედარონ

ჩაი ჩაი	1 მან. — კაშ.	ჩაის	სხვაგან 1 მან	20 ღირებუდს.
„ „ „	1 — 20 — „	„ „ „	1 — 50 —	—
„ „ „	1 — 40 — „	„ „ „	1 — 80 —	—
„ იშვიათი	1 — 60 — „	„ „ „	2 — 20 —	—
„ ჩინეთის ყვავილი	1 — 80 — „	„ „ „	2 — 50 —	—
„ ფუჩეფუ	2 — „ — „	„ „ „	2 — 80 —	—
„ ფენომენი	2 — 40 — „	„ „ „	3 — „ —	—

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეცველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდონ ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

მალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც ნ-ს გიჭვ. ნაკლებს აზ იყიდის, გასაგზავნს ფას მალაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცა კაკოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; ყველაფერი პირველ სედად და ია საიდუმლო ინგლისური მალაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ. (100—22)

თბილისის საპალაშო ბავაშვთა აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა

იენისის 18-ს, შუადღისას, გამგებობის სტაქციაში დანშნულა ვაქობა იჯარით გაცემისათვის საქალაქო სახლზე (გოლოვინის პროსპექტი ადრე შიოვეის სახლი) სადურგლო, სახურავის და სახურაო მუშაობის შესასრულებლად. ანგარიშისა და პირობათა გავება შეიძლება ყოველ ღვე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 1-მდე გარდა კვირა-უქმისა. (3—2)

ხვედურათის მადნის წყაროები

ამა წლის იენისის 10-დამ დასრულდა მოწყობა აბანოებისა; წყაროებზე შეიძლება იქონიოთ საქმელ-სასმელი და სხვა გვარი მორთულობა, გარდა ლოგინის თეთრეულისა.

ნომერი მოსამსახურით და ორის ვანით დღეში—2 მან. 50 კ.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ქარელის სტანციაზე თ-ღს ავალი-ვეილს. (3—2)